

**თარგმანის კვლევების დასავლური პარადიგმები:
ლიტერატურისმცოდნეობითი და
ლინგვისტური პერსპექტივები**

შესავალი

თარგმანის შესახებ რეფლექსიები უძველესი დროიდან იღებს სათავეს, თუმცა შესაბამისი დამოუკიდებელი დისციპლინა მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა. ამგვარად, სამეცნიერო დარგი, რომლის კვლევის საგანი ადამიანთა შორის კომუნიკაციის უადრეს პერიოდს უკავშირდება, ცალსახად თანამედროვეა როგორც ასაკით, ისე კონცეპტუალურად.

1970-80-იან წლებში გამოყენებითი ლინგვისტიკისა თუ შედარებითი ლიტერატურისმცოდნეობის ქვედარგიდან დამოუკიდებელ დისციპლინად, უფრო ზუსტად კი, ინტერდისციპლინად¹ დაფუძნების (Munday 2008:14) შემდეგ თარგმანის კვლევებმა² განვითარების არაერთგვაროვანი გზა განვლო, ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია და დინამიკურად ვითარდება მომიჯნავე სამეცნიერო სფეროებთან

- 1 მარგერიტა ულრიხისა და როზა მარია ბოლეთიერი ბოსინელის აზრით, თარგმანის კვლევები „მულტიდისციპლინაა“, რადგან ერთდროულად ახასიათებს დამოუკიდებლობა და პერსპექტივების სიმრავლე. ამავე დროს, ის „მეტადისციპლინაც“ არის, რადგან თავსებადია სხვადასხვა დარგის თეორიულ და მეთოდოლოგიურ ჩარჩოებთან (1999:237).
- 2 ტერმინის „თარგმანის კვლევები“ (translation studies) დამკვიდრება ჯეიმზ ჰოუმზის სახელს უკავშირდება. მისი უპირატესობა თარგმანის შემსწავლელი დისციპლინის სხვა დასახელებებთან (მაგ. ტრანსლატოლოგია, ტრადუქტოლოგია და თარგმნის მეცნიერება) განხილულია ჰოუმზის ნაშრომში „თარგმანის კვლევების სახელწოდება და ბუნება“ (The Name and Nature of Translation Studies) (2004). აღსანიშნავია, რომ ქართულ სამეცნიერო ტრადიციაში დამკვირდებულია ტერმინი „თარგმანმცოდნეობა“. თარგმანის კვლევები მოიცავს როგორც თარგმნის პროდუქტის (თარგმანის), ისე პროცესის (თარგმნის) შესწავლას. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით აქტუალური გახდა ბოლო პერიოდში, როდესაც ჰუმანიტარულ კვლევებში იმძლავრა პერმენენტულობა, კულტურულმა და კოგნიტიურმა პერსპექტივამ.

ნაწილობრივი ინტეგრირების გზით.

ალსანიშნავია, რომ ე. წ. „ინტეგრირებული მიდგომის“ ცნებას, რომელიც 1980-იანი წლების ბოლოს მერი სნელ-ჰორნბიმ თარგმანის კვლევებს მიუსადაგა, წინ უსწრებდა თარგმანის ლინგვისტური და ლიტერატურისმცოდნეობითი კვლევის მეთოდების სინთეზი. მოგვიანებით კი, ჯერ პრაგმატიკის, შემდგომ კი კულტურის ასპექტის დაწინაურებასთან ერთად, განივრცო და გამდიდრდა სხვადასხვა სამეცნიერო დარგისთვის აქტუალური დისკურსებით (Riccardi 2002:1). ლინგვისტიკისა და ლიტერატურისმცოდნეობის გარდა, თარგმანის თანამედროვე კვლევები ასევე გადაჯაჭვულია ენის მოდელირების, კულტურის კვლევებისა და ფილოსოფიის სფეროებთან და მათ ქვემიმართულებებთან.³

ბეზილ ჰატიმი თარგმანის კვლევებს მრავალწახნაგოვან სამეცნიერო სფეროდ განიხილავს, რომელსაც სხვადასხვა პერსპექტივის ინტეგრირების უნარი შესწევს (Hatim 2013:13). ამგვარი პლურალიზმისა და ამავდროულად, დისკრეტულობის გათვალისწინებით, მას არაერთი საინტერესო სახისმეტყველებითი ფორმულით აღწერენ. მაგალითად, ალბრეხტ ნოიბერტი და გრეგორი შრივი თარგმანმცოდნეობას უწოდებენ „სახლს“, რომელშიც „ბევრი სავანია“ (Hatim 2013:11). ჯერემი მანდელი კი იშველიებს ინტერდისციპლინის მაკკარტისეულ განმარტებას და თარგმანის კვლევებს ადარებს ფინიკიელ ვაჭარს, რომელიც გამუდმებით მოგზაურობს უკვე დამკვიდრებულ ქვეყნებს – დამოუკიდებლად ჩამოყალიბებულ სამეცნიერო დარგებს – შორის. მუდმივი კავშირი სხვადასხვა დარგთან ინტერდისციპლინის „ენიგმატურ“ ბუნებას განაპირობებს და „ინსტიტუციონალიზებული“ შემეცნებითი

3 ამ სქემის თანახმად, ლინგვისტიკა აერთიანებს სემანტიკას, პრაგმატიკას, სოციოლინგვისტიკას, კონტრასტულ ლინგვისტიკას, კორპუსის ლინგვისტიკას, კოგნიტურ ლინგვისტიკასა და ტექსტის/დისკურსის ანალიზს. ლიტერატურისმცოდნეობა, თავის მხრივ, მოიცავს პოეტიკას, რიტორიკას, ლიტერატურულ კრიტიკას, ნარატოლოგიას, კრიტიკული დისკურსის ანალიზსა და შედარებით ლიტერატურისმცოდნეობას; კულტურის კვლევები – პოსტკოლონიურ კვლევებს, კინემატოგრაფიულ კვლევებს, ენისა და ძალაუფლების, იდეოლოგიების თეორიებს, გენდერის კვლევებს, სქესობრივ უმცირესობებთან დაკავშირებულ კვლევებს, ისტორიას; ფილოსოფია მოიცავს ჰერმენევტიკას, პოსტსტრუქტურალიზმსა და დეკონსტრუქციის თეორიებს; ლინგვისტური ინჟინერია აერთიანებს მანქანურ თარგმანს, კორპუსის, ტერმინოლოგიურ, ლექსიკოლოგიურ და მულტიმედია კვლევებს. ასევე ინტერდისციპლინად ან ტრანსდისციპლინად განიხილავს თარგმანის კვლევებს გორლე (1994:133), რომელიც ლინგვისტიკისა და ლიტერატურისმცოდნეობის მეთოდების ინტეგრირების გარდა, ასევე ხაზს უსვამს ზუსტი (ინფორმაციის თეორია, ლოგიკა, მათემატიკა) და ჰუმანიტარული მეცნიერებების (სოციალური ანთროპოლოგია, სოციოლოგია და თეოლოგია) როლს.

სამყაროს გადააზრებისკენ გვიბიძგებს (Munday 2008:14).⁴ სხვადასხვა ჰუმანიტარულ დისციპლინასთან მჭიდრო კავშირის წყალობით თარგმანის კვლევებში კომპლექსურად აისახა მე-20 და 21-ე საუკუნეების ჰუმანიტარული აზროვნებისთვის დამახასიათებელი ძირითადი გარდატეხები.⁵

სტატია მიმოხილვითა და ეხება იმ პარადიგმულ სააზროვნო ცვლილებებს, რომლებმაც თარგმანის ქვედისციპლინის რანგიდან გამოსვლა და მისი დამოუკიდებელ დისციპლინად ჩამოყალიბება განაპირობა. ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ თარგმანის თეორიის ლიტერატურისმცოდნეობითი და ლინგვისტური საფუძვლებით მე-20 საუკუნის დასაწყისიდან 1970-იან წლებამდე; შემდგომი პერიოდის თარგმანის კვლევების ლინგვისტურ, ჰერმენევტიკულ, კულტუროლოგიურ, ნარატოლოგიურ და პოსტკოლონიურ პერსპექტივებს კი განვიხილავთ მომდევნო ნაწილში: „თარგმანის კვლევების დასავლური პარადიგმები: ინტერდისციპლინური პერსპექტივა“.

ვფიქრობთ, თარგმანის დარგობრივი ისტორიისა და დასავლური პარადიგმების მიმოხილვა გარკვეულწილად წაახალისებს დისკუსიას უმდიდრესი ქართული მთარგმნელობითი ტრადიციის როლისა და ადგილის შესახებ ზოგადად თარგმანის ისტორიაში, მით უმეტეს, რომ ძველი ქართული მთარგმნელობითი ტრადიცია, უფრო ზუსტად, შუა საუკუნეების ქართველ სწავლულთა კულტურული თვითშეგნების მაკონსტრუირებელი კონცეფციები, თარგმანის როლი ქართული ენის ემანსიპაციის პროცესებში საკმაოდ კარგად არის შესწავლილი როგორც ქართულ, ისე უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში.⁶

4 სხვა მკვლევართა მსგავსად, მანდვი ე.წ. „დამკვიდრებულ“ დისციპლინებად განიხილავს ლინგვისტიკას და მის ქვედარგებს (სემანტიკას, პრაგმატიკას, გამოყენებით და კონტრასტულ ლინგვისტიკასა და კოგნიტურ ლინგვისტიკას), თანამედროვე ენებსა და მათ კვლევებს, შედარებით ლიტერატურისმცოდნეობას, კულტურის კვლევებს (მათ შორის, გენდერულ და პოსტკოლონიურ კვლევებს) და ფილოსოფიას (ენის და მნიშვნელობის ფილოსოფიას, მათ შორის ჰერმენევტიკასა და დეკონსტრუქციას).

5 ე.წ. „turns“ – მაგ., linguistic turn, pragmatic turn, cultural turn. ინგლისურენოვან სამეცნიერო დისკურსში დამკვიდრებული ტერმინი „turn“ შეგვიძლია ვთარგმნოთ, როგორც გარდატეხა ან მიმართულება.

6 ძველი ქართული მთარგმნელობითი საქმიანობის შესახებ არსებული მრავალრიცხოვანი ლიტერატურიდან აქ დავასახელებთ მეთოდოლოგიური საკითხებისა და თარგმანის ისტორიის შესწავლაზე ორიენტირებულ ნაშრომებს: ბეზარაშვილი 2004, 2012; Boeder 1983; ბოედერი 1998; დანელია 1983; Doborjginidze 2008; დობორჯგინიძე 2012; თვალთვაძე 2009; კეკელიძე 1956; მელიქიშვილი 1999; ოთხმეზური 2011; რაფავა 1976; შანიძე 1990; ხარანაული 2001, 2007.

თარგმანის ლიტერატურისმცოდნეობითი და ლინგვისტური მიმართულებები: „თარგმნადობა“ და „უთარგმნელობა“

ისტორიულად, ამა თუ იმ „დამკვიდრებული“ დომინანტური სააზროვნო მიმართულების მიხედვით იცვლებოდა მთარგმნელობითი რეფლექსიების, მოგვიანებით კი თარგმანის კვლევების ობიექტი და მისი შესწავლის პერსპექტივა. მაგალითად, სხვადასხვა პერიოდში აქტუალური იყო წმინდა ტექსტების, ფილოსოფიური, დოგმატიკური თუ ეგზეგეტიკური ნაშრომების, მხატვრული პროზისა თუ პოეზიის თარგმნა, ან თარგმანის გამოყენება სასწავლო მიზნებით. თითოეული უანრის ტექსტი კი, მისი ფუნქციიდან თუ საზოგადოებრივი კონტექსტიდან გამომდინარე, განსხვავებული კონცეფციისა და ნორმების შესაბამისად ითარგმნებოდა.

თარგმანის შესახებ ლიტერატურისმცოდნეობითი რეფლექსიების ძირითად ობიექტს წარმოადგენდა ლიტერატურული ტექსტი, რაც ამ რეფლექსიათა პრობლემატიკასა და მეთოდოლოგიურ თავისებურებას განსაზღვრავდა. 1920-იანი წლებიდან მოყოლებული განსაკუთრებით აქტუალურია მსჯელობა ლიტერატურული ტექსტის „თარგმნადობისა“ და „უთარგმნელობის“ შესახებ, რომლის ფარგლებშიც მკაფიოდ იკვეთება ორგვარი დამოკიდებულება ლიტერატურული თარგმანისადმი: პესიმისტური/სკეპტიკური და ოპტიმისტური (Bassnett 2014:12-14; Venuti 2004:111-114). პირველის პროტოტიპულ მაგალითად განიხილავენ ვლადიმირ ნაბოკოვის წინათქმას, რომელიც „ევგენი ონეგინის“ მისსავე ინგლისურ თარგმანს ერთვის. ნაბოკოვი ყურადღებას ლიტერატურის შედევრების უცხოენოვანი მკითხველისთვის მიწოდებისას ტექსტების „პროფანაციის“ საფრთხეზე ამახვილებს⁷. მეორე, პოზიტიური დამოკიდებულების მაგალითად ბასნეტს მოჰყავს ვალტერ ბენიამინის ესეი *Die Aufgabe des Übersetzers* („მთარგმნელთა ამოცანა“, 1923), რომლის თანახმად, თარგმნადობის იდეა არც ერთ შემთხვევაში არ უნდა უარვეყოთ (Benjamin 2004:76). ბენიამინის აზრით, ტექსტი თარგმანის საშუალებით განაგრძობს არსებობას დროსა და სივრცეში. აღსანიშნავია, რომ ხსენებული ნაშრომი თარგმანის არაერთ პოსტ მოდერნისტულ თეორიას დაედო საფუძვლად (Bassnett 2014:12-14).

თარგმანის კვლევების „ლიტერატურული პერიოდის“ ნიშანდობლივ მოვლენებად აგრეთვე განიხილავდნენ მოდერნისტების და კერძოდ, ეზრა პაუნდის ექსპერიმენტულ თარგმანებსა და რეფლექსიებს, მოგვიანებით კი – 1960-იან წლებში აშშ-ის უნივერსიტეტებში ჩამო-

7 „უთარგმნელობასთან“ დაკავშირებით ასევე საგულისხმოა ამერიკელი ფილოსოფოსის, უილარდ ვან ორმან ქუაინის კონცეფცია „რადიკალური თარგმანის“ შესახებ (Venuti 2004:111-114).

ყალიბებულ ე.წ. „მთარგმნელობით სახელოსნოებს“, რომლებიც 1920-იანი წლების ი. ა. რიჩარდსის კითხვისა და კრიტიკის სახელოსნოს პრინციპებს ეფუძნებოდა და პრაქტიკულ საქმიანობასთან ერთად, ახალი თარგმანების გაცნობასა და ანალიზს ისახავდა მიზნად (Genzler 2001:9შმდ; Munday 2008:8). მთარგმნელობითმა სახელოსნოებმა და შედარებითი ლიტერატურისმცოდნეობის თეორიებმა ხელი შეუწყო თარგმანის ფუნდამენტურ შესწავლას და გარკვეულწილად ნიადაგი შეუშადა მისი ლინგვისტური და სემიოტიკური ასპექტების კვლევას.

თარგმანის სისტემური ენათმეცნიერული შესწავლა უკავშირდება, ერთი მხრივ, არალიტერატურული ტექსტების თარგმნისადმი მზარდ ინტერესს (Snell-Hornby 2006:20; Lefevere 1992:7), მეორე მხრივ კი – შეპირისპირებითი ლინგვისტიკის განვითარებასა და მეორე ენის შესწავლის თეორიული და მეთოდოლოგიური მიდგომების შემუშავებას 1950-60-იან წლებში.⁸

აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება თარგმანის ლინგვისტური ასპექტების თეორეტიზება და *სიტყვასიტყვითი, თავისუფალი და ერთგული* თარგმანის შესახებ „სტერილური“ პოლემიკის შესუსტება (Steiner 1998:319; ასევე იხ. Lefevere 1992:6). სხვადასხვა ენის სტრუქტურათა შედარებით-შეპირისპირებითა ანალიზმა გამოავლინა „სწორი“ vs „არასწორი“ თარგმანის ოპოზიციის მცდარობა და, ფაქტობრივად, საფუძველი ჩაუყარა ეკვივალენტობის თეორიების განვითარებისა და მთარგმნელობითი სტრატეგიების კვლევისთვის.

თარგმანის სიღრმისეული ენათმეცნიერული შესწავლის საჭიროებას ასევე უკავშირებენ მე-20 საუკუნის შუა წლების პოლიტიკურ ფაქტორს, კერძოდ, მეორე მსოფლიო ომსა და მის შემდგომ „ცივი ომის“ პერიოდს, როდესაც გამოაშკარავდა ავტომატური თარგმანის თავდაპირველი ამბიციური პროექტის წარუმატებლობა და ნაივურობა (Snell-Hornby 2006:35, Bassnett 2014:17-18; საყვარელიძე 2001:10).⁹

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ თარგმანის ლინგვისტური ასპექტების თეორეტიზება შედარებით გვიან, 1950-60-იანი წლებიდან დაიწყო და „თარგმანის ლინგვისტური კვლევის პრობლემატიკა [...] გარკვეულწილად გაემიჯნა თარგმანის ლიტმცოდნეობითი ხასიათის პრობლემებს“

8 მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში უცხოური ენის სწავლების კომუნიკაციური მეთოდოლოგიის შემუშავებასთან ერთად თანდათან შეიზღუდა თარგმნის როლი ენის სწავლებაში.

9 პიტერ ნიუმარკი მთარგმნელის საქმიანობის დამოუკიდებელ პროფესიად ჩამოყალიბებას სწორედ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდსა და 1953 წელს იუნესკოს მხარდაჭერით მთარგმნელთა საერთაშორისო ფედერაციის დაფუძნებას უკავშირებს (Newmark 1991:19). სნელ-ჰორნბი კი აღნიშნავს, რომ თარგმნის შესახებ აკადემიური მსჯელობა მეორე მსოფლიო ომის დროს შეფერხდა და ომის შემდგომ წლებში განახლდა (Snell-Hornby 2006:20).

(საყვარელიძე 2001:5).¹⁰ თუმცა, გასული საუკუნის პირველი ნახევრის მაგისტრალური სტრუქტურალისტურ-სემიოტიკური და ეთნოლინგვისტური თეორიები, ფაქტობრივად, უგულვებელყოფდნენ თარგმანს. როგორც ცნობილია, სოსიურის თეორიის ფუნდამენტურ საკითხებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ენობრივ ნიშანთა ღირებულების (valeur) ცნება, რომელიც იმთავითვე მიუთითებს ენებს შორის არსებულ სემანტიკურ და სტრუქტურულ ასიმეტრიაზე. სტრუქტურალიზმის საწყის ეტაპზე პრიორიტეტული იყო, ზოგადად, ენობრივი ფენომენის შესწავლა – ენის, როგორც პირობით ნიშანთა სისტემის, ერთეულების ურთიერთმიმართებათა კვლევა – და თითქმის არ განიხილებოდა ენებს შორის მიმართებები. შესაბამისად, თავდაპირველად, ღირებულებით განპირობებული ასიმეტრიის გამოვლენამ ხელი შეუწყო ცალკეული ენობრივი სისტემების იზოლირებულად კვლევას და ენებს შორის არსებული განსხვავებებისა და ბარიერების წარმოჩენას, ფუნქციური ასპექტებისა და სამეტყველო კონტექსტის კვლევის აუცილებლობა კი მხოლოდ მოგვიანებით გაჩნდა. ჰატიმის შეფასებით, ლინგვისტიკის ადრეული მოდელების და კერძოდ, სტრუქტურალიზმის, ფარგლებში ენის ფუნქციონირების გაგება თითქმის გამორიცხავდა თარგმანის შესწავლას. ფონოლოგიისა და მორფოლოგიის მიდგომები კი მნიშვნელობათა მიმართებების კოგნიტურ ასპექტებს, კერძოდ ადამიანურ ცოდნასა და ამოცდილებას უგულვებელყოფდა (Hatim 2013:17).

ასევე გასათვალისწინებელია, რომ სხვადასხვა ენის სტრუქტურებს შორის ასიმეტრიული მიმართებების დადგენა ეხმიანება როგორც ენის ჰუმბოლდტისეულ კონცეფციას, ისე სეპირ-უორფის ლინგვისტური რელატივიზმის თეორიას (შდრ. Pym 2014:9). ედუარდ სეპირის აზრით, ენები არა მხოლოდ სხვადასხვა საშუალებით ასახავენ სამყაროს, არამედ, ამავე დროს, განსხვავებულ სამყაროებს ასახავენ (Sapir 1929:207). ამგვარი ხედვა აპრიორი გამორიცხავდა სრულ შესაბამისობას საწყის და სამიზნე ტექსტებს შორის და იმპლიციტურად თარგმანის შეუძლებლობასაც გულისხმობდა.¹¹

10 ასევე იხ. გაჩეჩილაძე 1959:86.

11 ასევე არსებობს მოსაზრება, რომ თარგმანის კვლევასა და ლინგვისტიკას შორის ორმხრივი ურთიერთმიმართება არსებობს. მართალია, ლინგვისტიკამ არსებითი როლი ითამაშა თარგმანის კვლევების განვითარებაში, მაგრამ თარგმანის შესწავლაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ლინგვისტური თეორიების გამოცდასა და ენის პრაქტიკული გამოყენების საკითხების სიღრმისეულ ანალიზს (Manfredi 2008:31; ასევე იხ. Fawsett 1997:2; Nida 1969:483).

ეკვივალენტობის პარადიგმა

თარგმნადობა-უთარგმნელობის დილემის გადალახვისა და თარგმნის თეორიული „ლეგიტიმაციის“ მცდელობად უნდა განვიხილოთ 1950-60-იან წლებში ლინგვისტიკის ფარგლებში ჩამოყალიბებული ეკვივალენტობის პარადიგმა, რომელმაც ათწლეულების განმავლობაში დომინანტური მნიშვნელობა შეინარჩუნა. სტრუქტურალიზმისგან განსხვავებით, ეკვივალენტობის თეორიებში თარგმნა განიხილება, როგორც „ეფექტური კომუნიკაცია“ (Nida 1969:483), რომელიც იმთავითვე გულისხმობს სამეტყველო და უფრო ზოგადად, კულტურული კონტექსტის გათვალისწინებას და არა სხვადასხვა ენის სტრუქტურებს შორის თანხვედრას. ამგვარად, მსჯელობა გასცდა საუკუნეების განმავლობაში მიმდინარე დისკუსიებს „სიტყვასიტყვითი“ vs „თავისუფალი“ და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „სწორი“ vs „არასწორი“ თარგმანის შესახებ. ეკვივალენტობა იქცა საწყის და სამიზნე ტექსტებს შორის ერთგვარ *tertium comparationis*-ად, ანუ იმ ინვარიანტად, რომელიც საერთოა დედნისა და თარგმანისთვის. ამ პარადიგმის ფარგლებში აღმოცენებულ თეორიებში, მსგავსებათა მიუხედავად, განსხვავებული ნიუანსები იჩენს თავს და ეკვივალენტობის სხვადასხვა ტიპოლოგიის გამოყოფის შესაძლებლობას იძლევა.

თარგმანის თეორიული საფუძვლის შექმნის მცდელობად აფასებს ენტონი პიმი (Pym 2014:11) ჟან-პოლ ვინესა და ჟან დარბელნეს მიერ კომპარატივისტული სტილისტიკის¹² ფარგლებში ჩატარებულ კვლევას, რომელიც ინგლისური და ფრანგული ენობრივი სტრუქტურების შედარებას დაეფუძნა (*Stylistique comparée du français et de l'anglais*, 1958). ნაშრომი მიზნად ისახავდა ეკვივალენტური ტექსტების მოძიებას ორ მონათესავე ენაში და, შესაბამისად, აპრიორი გულისხმობდა ეკვივალენტების, ან როგორც თავად უწოდებდნენ, „პარალელური კატეგორიებისა“ (იგულისხმება სტრუქტურული პარალელიზმი) და „პარალელური კონცეპტების“ (იგულისხმება მეტალინგვისტური პარალელიზმი) არსებობას. პიმის აზრით, ვინე და დარბელნე იმგვარი „ბუნებრივი“ ეკვივალენტების მოძიებას ცდილობენ, რომელთა შექმნაზე ლინგვისტებსა და მთარგმნელებს არ უზრუნიათ. ამგვარად, მათ მიერ მითითებული გამონათქვამების ესა თუ ის უცხოენოვანი შესაბამისი არის არა მთარგმნელის შემოქმედებითი მცდელობის შედეგი, არამედ მეორე ენაში ბუნებრივად მოცემული, „არამთარგმნელობითი“ პარალელიზმი (Pym 2014:12). ამასთან, ვინე და დარბელნე მთარგმ-

12 სნელ-ჰორნბის აზრით, გარკვეული საკითხები (ასპექტი, მოდალობა და დერივაცია), რომლებსაც ვინე და დარბელნე სტილისტიკას მიაკუთვნებენ, ამ ეტაპზე გრამატიკისა და სემანტიკის ფარგლებში განიხილება (Snell-Hornby 2006:24).

ნელებს სხვადასხვა „პროცედურას“, მეთოდს სთავაზობენ, რომლებსაც პირდაპირი და ირიბი თარგმანის ორ მსხვილ ჯგუფს მიაკუთვნებენ (Vinay and Darbelnet 2004:128).¹³ მათი თეორია კომუნიკაციურ სიტუაციას ითვალისწინებს, რაც იმ დროისთვის სიახლეს წარმოადგენდა (Snell-Hornby 2006:24-25). „შეტყობინებების ეკვივალენტობა“ „სიტუაციების იდენტურობას“ ეფუძნება და შესაბამისად, „ლინგვისტური და კულტურული განსხვავებების ემპირისტულ სემანტიკამდე დაყვანას“ გულისხმობს (Venuti 2004:114).

ამგვარად, ვინესა და დარბელნეს კვლევა ენაში მოცემულ ფორმულებზე დაკვირვებასა და მათ შორის შესაბამისობების სისტემატიზაციას გულისხმობდა. მათ ერთ-ერთ მაგალითად მოჰყავთ ინგლისურ ენაზე შექმნილი და ინგლისურიდან ფრანგულად ნათარგმნი საგზაო ნიშნების ტექსტები და ხაზს უსვამენ თარგმანის ხელოვნურობას, რომელიც ფრანგული ენისა და კულტურის კონვენციების გაუთვალისწინებლობით იყო განპირობებული. სნელ-ჰორნბის აზრით, ვინესა და დარბელნეს მიდგომა კონცენტრირებულია არა ენობრივ სისტემაზე და შესაბამისად, ცალკეულ სიტყვებსა და ნიშნებზე, არამედ კონკრეტულ სიტუაციასთან დაკავშირებულ ავთენტურ პარალელურ ტექსტებზე, რამაც მოგვიანებით მთარგმნელთა მომზადების თვალსაზრისით პრაქტიკული მნიშვნელობა შეიძინა (2006:24). თუმცა, სიტუაციის როლის აქცენტირების მიუხედავად, მათი მიდგომის პრაგმატიკული თეორეტიკება არ მომხდარა.

1950-იანი წლების ბოლოს ეკვივალენტობის ცნების ახლებურ, სემიოტიკურ ინტერპრეტაციას წარმოადგენს რომან იაკობსონი (*On Linguistic Aspects of Translation*, 1969). ამავდროულად, იგი ხაზგასმით გამოყოფს ლინგვისტიკის მნიშვნელობას ენათშორის კომუნიკაციაში. მისი კონცეფცია ერთგვარად ეხმიანება იმ პერიოდში მიმდინარე პოლემიკას თარგმნადობა-უთარგმნელობის შესახებ და თარგმანს შესაძლებლად განიხილავს გარკვეული ინტერპრეტაციის დაშვებით. იაკობსონი უარყოფს ბერტრან რასელის მოსაზრებას, რომ სიტყვის მნიშვნელობის გაგება უპირობოდ მოითხოვს მისი რეფერენტის ექსტრალინგვისტურ ცოდნას. იგი აღნიშნავს, რომ მნიშვნელობა განპირობებულია არა უშუალოდ ექსტრალინგვისტური რეალობით, არამედ მისი სხვა ნიშნებთან მიმართებით (Venuti 2004:113); ნებისმიერი კოგნიტური გამოცდილება ნებისმიერ ენაზე შეგვიძლია გადმოვცეთ,

13 ვინე და დარბელნე მთარგმნელს შვიდ ძირითად ხერხს სთავაზობენ, რომელთაგან პირველი სამი – სესხება, კალკირება და სიტყვა-სიტყვით თარგმნა ტექსტთან ფორმალურ სიახლოვეს გულისხმობს; დანარჩენი ოთხი ხერხი კი – ტრანსპოზიცია, მოდულაცია, ეკვივალენცია და ადაპტაცია – მეტ თავისუფლებას ანიჭებს მთარგმნელს: დეტალურად იხ. Pym 2014:13; ფანჯიკიძე 1995:38).

ხოლო „ენებს განასხვავებს ის, რაც მათ უნდა ასახონ და არა ის, რისი ასახვაც მათ შეუძლიათ“ (Jakobson 2004:141). გამონაკლისია მხოლოდ პოეტური ტექსტი, რომელიც, იაკობსონის აზრით, არ ითარგმნება, რადგან მისი ფორმაც და ბგერწერაც მნიშვნელობის შემცველია (2004:143).

იაკობსონი თარგმანს ფართო სემიოტიკური მნიშვნელობით განიხილავს და მის სამ ტიპს გამოყოფს. ესენია: შიდაენობრივი თარგმანი (ვერბალური ნიშნების იმავე ენის სხვა ნიშნებით ინტერპრეტაცია); ენათშორისი თარგმანი, ანუ საკუთრივ თარგმანი (ვერბალური ნიშნების სხვა ენაზე ინტერპრეტირება) და ინტერსემიოტიკური თარგმანი, ანუ ტრანსმუტაცია (ვერბალური ნიშნების არავერბალურ ნიშანთა სისტემის ნიშნებით ინტერპრეტირება). ისევე, როგორც ძნელი მოსაძებნია აბსოლუტური სინონიმები ერთ ენაში და, შესაბამისად, სინონიმია არ გულისხმობს აბსოლუტურ ეკვივალენტობას, ენათშორისი თარგმნის შემთხვევაშიც თითქმის შეუძლებელია კოდებს შორის აბსოლუტური თანხვედრა; სამაგიეროდ, შესაძლებელია კონცეპტების ეკვივალენტობა და შესაბამისად, ორ ენაზე ეკვივალენტური შეტყობინების განსხვავებული კოდებით გადმოცემა (Jakobson 2004:139).

იაკობსონის სემიოტიკურ თეორიას თარგმანის შესახებ არაერთი ახალი თეორია მოჰყვა. მრავალი წლის განმავლობაში, შეიძლება ითქვას, თარგმანის თითქმის ყველა განმარტება ამ მეინსტრიმად ქცეული თემის ვარიაციას წარმოადგენდა (Manfredi 2008:49).

თარგმანის კვლევის ლინგვისტური განზომილება ხაზგასმით წარმოჩნდა ჯონ (იან) კეტფორდის კვლევაში „თარგმანის ლინგვისტური თეორია“ (A Linguistic Theory of Translation, 1965), რომელიც გარკვეულწილად ასევე თარგმანის თეორიულ დასაბუთებას წარმოადგენს. კვლევის თანახმად, მართალია, ენებს შორის ზუსტი შესაბამისობები არ არსებობს და ლინგვისტური დონეები (ფონოლოგიური, გრაფოლოგიური, გრამატიკული და ლექსიკური) სხვადასხვა ენაში განსხვავებული სახით არის წარმოდგენილი, თარგმანისთვის საკმარისია ეკვივალენტური მიმართებების დამყარება, თუნდაც რომელიმე დონეზე, ან რამდენიმე დონეზე ერთდროულად. კეტფორდის თეორია ასახავს მისი თანამედროვე პერიოდის ენათმეცნიერულ სიახლეებს, ითვალისწინებს მ.ა.კ. ჰელიდის სისტემურ-ფუნქციური გრამატიკის პრინციპებს და ლინგვისტიკის კვლევის ობიექტად განიხილავს არა სიტყვას, არამედ ტექსტს. კეტფორდის აზრით, თარგმანისას შესაძლებელია ლინგვისტური დონეებისა და კატეგორიების ტრანსფორმაცია. პირველი გულისხმობს გრამატიკული და ლექსიკური დონეების ურთიერთჩანაცვლებას, მეორე კი – ერთი მეტყველების ნაწილის სხვა

მეტყველების ნაწილით შეცვლას. ეს გარდაქმნები წმინდად ლინგვისტურია და ხშირ შემთხვევაში, მათ მთარგმნელი ავტომატურად მიმართავს. კეტფორდის აზრით, თარგმანი გულისხმობს არა გადატანას, არამედ ამოსავალი ენის ერთეულის მნიშვნელობის სამიზნე ენაზე იმგვარ „ჩანაცვლებას“, რომ შესაძლებელი გახდეს მისი ანალოგიური ფუნქციონირება მოცემულ სიტუაციაში (Catford 1965:20). ეს კი, მისივე აზრით, შესაძლებელია „ტექსტობრივი ეკვივალენტობით“ (Hatim 2013:17), რომელსაც კეტფორდი განასხვავებს „ფორმალური შესაბამისობისგან“ (formal correspondence). ეს უკანასკნელი ენობრივ სისტემებს შორის, ტექსტობრივი ეკვივალენტობა კი – წყაროსა და სამიზნე ტექსტებს შორის მიმართებებს ემყარება, რაც, თავის მხრივ, სოსიურის langue-ის და parole-ის დიქტომიას უკავშირდება (შდრ. კოლერის მიერ გამოყოფილი ცნებები Korrespondenz და Äquivalenz). როგორც დოროთი კენი აღნიშნავს, ეკვივალენტობის კეტფორდისეული გაგება მნიშვნელობის რეფერენტულ თეორიას ეფუძნება, რადგან იგი ეკვივალენტობას შესაძლებლად განიხილავს, თუ წყარო და სამიზნე ტექსტები ექსტრალინგვისტურ რეალობაში ერთსა და იმავე რეფერენტებზე მიუთითებენ (Catford 1965:50). ფორმალური შესაბამისობა წყარო ტექსტთან მაქსიმალურ სიახლოვეს გულისხმობს, ტექსტობრივი ეკვივალენტობა კი ფორმალური მსგავსების შენარჩუნების შეუძლებლობის შემთხვევაში გარკვეულ ცვლილებებს ითვალისწინებს (იხ. ზემოთ). ვენუტის აზრით, აშკარაა, რომ კეტფორდი, საწყის ეტაპზე, უშვებს ფორმალური შესაბამისობის შესაძლებლობას, მთარგმნელობით ტრანსფორმაციებს (shifts) კი, რომლებსაც საბოლოო ჯამში ტექსტობრივ ეკვივალენტობასთან მივყავართ, ერთგვარ „გადახვევად“ განიხილავს (Venuti 2004:148).

თარგმანის კვლევების თანამედროვე პერსპექტივიდან კეტფორდის თეორია შედარებითი ენათმეცნიერების საზღვრებს არ გასცდენია (Hatim 2013:20). შესაბამისად, მასში არც კონტექსტის ცნება, მთარგმნელის სუბიექტური ფაქტორი და „კულტურული, ტექსტობრივი თუ სხვა სიტუაციური ასპექტები“ ასახულა (Hatim 2013:20). თუმცა, ასევე აღნიშნავენ, რომ კეტფორდის ნაშრომი „თარგმანის ლინგვისტური თვალსაზრისით სისტემური დახასიათების ერთ-ერთი ორიგინალური მცდელობაა“ (Fawcett 1997:121). კეტფორდის ეკვივალენტობის თეორიამ ასევე ხელი შეუწყო ემპირიულ მონაცემებზე დაფუძნებული მანქანური თარგმანის (Kenny 2001:79) და მთარგმნელობითი მექანიზმების პროგამების შემდგომ დახვეწას.

ეკვივალენტობის ცნება განახლებული სახით წარმოადგინა იუჯინ ნაიდამ, რომელმაც პირველად გაუსვა ხაზი თარგმანის კვლე-

ვის სამეცნიერო განზომილებას ნაშრომში „თარგმნის მეცნიერება“ (Toward a Science of Translating, 1964). მანდის აზრით, თარგმანის აკადემიური კვლევის მიმართულება სწორედ ნაიდას სისტემურმა მიდგომამ განსაზღვრა (Munday 2008:9). მის კონცეფციას განაპირობებდა გამორჩეული ინტერესი ბიბლიის ადგილობრივი ხალხების ენებზე თარგმნისადმი და შესაბამისად, ანთროპოლოგიისა და კულტურის საკითხებისადმი, რაც მას ჰუმბოლდტისა და ამერიკელი ეთნოლინგვისტიკის, სეპირისა და უორფის ხედვებთან აკავშირებს. ეკვივალენტობის ცნების ნაიდასეული კონცეპტუალიზაცია ემყარება ცნობილ ჰიპოთეზას, რომლის თანახმად, აზროვნება კი არ უსწრებს ენას, არამედ თავად ენობრივი სტრუქტურა გასაზღვრავს აზროვნებას.

წინამორბედების მსგავსად, თარგმანის კვლევას ნაიდაც ლინგვისტიკის, უფრო კონრეტულად კი, კომპარატივისტული ლინგვისტიკის განშტოებად განიხილავს. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ნაიდას კონცეფცია ასევე მოიცავს „სემანტიკაზე ფოკუსირებულ დინამიკურ განზომილებას“ (Nida 1969:495).

ნაიდას ეკვივალენტობის თეორია გარკვეულწილად ეყრდნობა მისი თანამედროვე გენერაციული ლინგვისტიკის პრინციპებსა და ენისადმი სემანტიკურ და პრაგმატიკულ მიდგომებს. მიუხედავად იმისა, რომ ნაიდას თეორია მნიშვნელოვნად განსხვავდება ჩომსკის გენერაციული გრამატიკისგან, რომელიც, ავტორისვე განმარტებით, თარგმანს არ ითვალისწინებს, ამ ორ თეორიას შორის კავშირი აშკარაა. ჩომსკის კონცეფცია აისახა ნაიდას მიერ შემოთავაზებული თარგმნის მოდელში, რომელიც გულისხმობს წყარო ტექსტის დაყვანას „სტრუქტურულად მარტივ და გასაგებ ბირთვებამდე, შემდეგ კი ასევე მარტივი სტრუქტურის სახით გადატანას მის რეცეპტორ ენაზე“ (Nida 1969:484). ნაიდას აზრით, მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი „სტილისტურად და სემანტიკურად ეკვივალენტური გამონათქვამის შექმნა რეცეპტორ ენაზე“. ამგვარად, თარგმანი მხოლოდ ზედაპირული სტრუქტურების გადატანას არ გულისხმობს; იგი „გაცილებით უფრო „კომპლექსური პროცედურაა და მოიცავს ანალიზს, ტრანსფერს და რესტრუქტურირებას“ (Nida 1969:483). ნაიდას მიზანია არა საკუთრივ შეტყობინების (message), არამედ მისი ფუნქციის გადატანა (ანუ, შენარჩუნება) სამიზნე ენაში.

ჩომსკისგან განსხვავებით, ნაიდა რეცეფციის კომპონენტს – მნიშვნელობის პრაგმატიკულ ასპექტს – არა ზედაპირული, არამედ ძირეული დონის სტრუქტურას უკავშირებს. ეს უკანასკნელი მოიცავს როგორც სინტაქტიკურ სტრუქტურებს, ისე ადამიანის უნივერსალურ გამოცდილებას. გენცლერის აზრით, სწორედ კულტურული ფაქტო-

რის აქცენტირება განასხვავებს ნაიდას ხედვას ჩომსკის თეორიისგან, რომელიც ნიშანს კულტურული კონტექსტისგან იზოლირებულად განიხილავს. ნაიდა სიღრმისეულ სტრუქტურას უკავშირებს არა უბრალოდ ნიშანს, არამედ „ნიშანს კონტექსტში“, რომლის გააზრება შესაძლებელია მხოლოდ მისი ეგზეგეზისა და შესაბამისი ენისა და კულტურის შესწავლის გზით (Genzler 2001:57).

ამ თეორიულ საფუძველს ეყრდნობა ნაიდას ცნობილი დიქოტომია: ფორმალური და დინამიკური (ფუნქციური) ეკვივალენტობა. ფორმალური ეკვივალენტობა ფოკუსირებულია თავად შეტყობინებაზე და ორიენტირებულია საწყის ტექსტზე. ტერმინი „ფორმალური“ აღნიშნავს არა საკუთრივ გამოხატულების დონეზე მსგავსებას ან სინტაქსურ პარალელებს, არამედ ასევე სემანტიკურ შესაბამისობას.

დინამიკური ეკვივალენტობა ფოკუსირებულია შეტყობინების ეფექტზე და მიზნად ისახავს წყარო ტექსტში მოცემული ერთეულის „ბუნებრივი“ ეკვივალენტის მოძებნას მიმღებ კულტურასა და ენაში (Nida 1969:495). ბუნებრივი ეკვივალენტის შერჩევის კრიტერიუმი არის არა სემანტიკური შესატყვისობა, არამედ საზოგადოებრივ-კულტურული ფუნქციების თანხვედრა, რომელიც არათუ არ მოითხოვს ორი ენის ერთეულთა სემანტიკურ პარალელიზმს, არამედ შეიძლება კიდევ გამორიცხავდეს მას. შესაბამისად, დინამიკური თარგმანი ორიენტირებულია რეცეპტორზე.

ნაიდა უპირატესობას დინამიკურ ეკვივალენტობას ანიჭებს. მისთვის მთავარია არა ნიშანი (ანუ, თარგმნის შემთხვევაში, ფორმალური ეკვივალენტობა), არამედ რეაქცია ნიშანზე (დინამიკური ეკვივალენტობა). როგორც გენცლერი შენიშნავს, შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ სამიზნე ენის ნაცვლად ნაიდა იყენებს ტერმინს *რეცეპტორი* ენა. მთავარია, რომ ნათარგმნ ტექსტში „არსებითად იგივე მიმართება დამყარდეს რეცეპტორსა და შეტყობინებას შორიც, როგორიც ორიგინალის რეცეპტორებსა და შეტყობინებას შორის არსებობდა“ (Nida 2004:156).

ნაიდას თეორიამ დიდწილად განსაზღვრა თარგმანის შემდგომი კვლევის ხასიათი. თუმცა, მას არაერთი კრიტიკოსის მწვავე გამოხმაურებაც მოჰყვა. მისი სიღრმისეული ანალიზი შედარებით თანამედროვე, დეკონსტრუქტივისტული პარადიგმის პრიზმიდან წარმოდგენილია გენცლერის ნაშრომის „თარგმანის თანამედროვე თეორიები“ (Contemporary Translation Theories, 2001) ერთ-ერთ თავში „თარგმანის „მეცნიერება“ (The “Science” of Translation).

ნაიდას თეორიის კრიტიკისას ხშირად აღნიშნავენ, რომ კვლევას არ აქვს მყარი სამეცნიერო საფუძველი, რასაც, სხვა მიზეზებთან ერ-

თად, ასევე განაპირობებს მისიონერულ მიზნებზე ორიენტაცია, კონკრეტულად, ბიბლიის თარგმანზე ფოკუსირება და წმინდა წერილის თარგმანისადმი სუბიექტური დამოკიდებულება. აღსანიშნავია, რომ ამ მიზეზებს არც თავად ნაიდა უარყოფდა.¹⁴ გენცლერის აზრით, ნაიდა თარგმანს ერთგვარ „გამოცხადებად“ განიხილავს, რომლის დანიშნულებაა არქეტიპული შინაარსის (შეტყობინების) გამჟღავნება (Genzler 2001:57).

გენცლერისთვის ასევე გაუგებარია სიღრმისეული სტრუქტურის ტრანსფორმაციის მექანიზმი, რომელიც, მისი აზრით, მოკლებულია თეორიულ დასაბუთებას და მხოლოდ რწმენით არის გამყარებული. ნაიდასთვის საწყისი ტექსტი/შეტყობინება უცვლელია (რადგან იგი ღვთის სიტყვაა), მაშინ როდესაც, გენცლერისთვის ტექსტი თავისთავად არასდროს არის სრულყოფილი, გარკვეულ ლაკუნებს შეიცავს და განსხვავებულ რეაქციებს იწვევს, რაც არის კიდევც მისი ენერჯის წყარო. ტექსტის რეცეფცია შეუძლებელია იყოს წინასწარ დეტერმინირებული და ეს ერთგვარად მკითხველის უნდობლობაც არის, რადგან მას მხოლოდ ტექსტის მარტივ კონსუმერად აქცევს (Genzler 2001:57).

საგულისხმოა, რომ გენცლერის აზრით, ნაიდამ შეცვალა უძველესი დროიდან მომდინარე მთარგმნელობითი „ერთგულების“ ტრადიციული ცნება, რომელიც, ჩვეულებრივ, დედნის ავტორისადმი ერთგულებას გულისხმობდა და აქცენტის რეცეპტორზე გადაიტანა – თანაც ისე, რომ ამგვარი ხედვის პარადოქსულობაც კი არ აღუნიშნავს. აქვე უნდა აღინიშნოს, „სიტყვის ძალის“ ნაიდასეული გაგება რადიკალურად განსხვავდება მისი ტრადიციული გაგებისგან, რომლის მიხედვით, არა თუ სიტყვის სემანტიკა, „სიტყვათა წყობაც კი საიდუმლოს შეიცავს“ (წმ. იერონიმე).¹⁵

კრიტიკა მოჰყვა ასევე ნაიდას თეორიულ ამოცანას, რომელიც წყარო და სამიზნე ტექსტების მკითხველთა რეაქციების ეკვივალენტობას გულისხმობდა. აღინიშნა, რომ რეაქცია და ემოცია, რომელსაც ტექსტი მკითხველში იწვევს, სუბიექტურია და, შესაბამისად, მისი ობიექტურად გაზომვა – შეუძლებელი. ვან დენ ბროკი და რობერ ლაროზი ფიქრობენ, რომ ეკვივალენტური ეფექტის მიღწევა შეუძლებელია, მით უფრო განსხვავებულ კულტურებში (Munday 2008:43).

ნაიდას ფორმალური და დინამიკური ეკვივალენტობის დიქტომიის მსგავს ტიპოლოგიას წარმოადგენს პიტერ ნიუმარკი (Approaches to Translation, 1981), რომელიც „მთარგმნელებს წყარო-

14 ნაშრომის „თარგმნის მეცნიერება“ (Toward s Science of Translating) სათაურს ნაიდა შემდეგნაირად აკონკრეტებს: “With Special Reference to Principles and Procedures Involved in Bible Translating” (1964).

15 შდრ. მაგ. დობორჯგინიძე 2012:80-91.

ელებად (sourcerers) და მემიზნეებად (targeteers) ყოფს წყარო ენისა (source language) და სამიზნე ენის (target language) ანალოგიით“ (ჩხეიძე 2005:25; Newmark 1991:4). იგი ერთმანეთისგან განასხვავებს სემანტიკურ და კომუნიკაციურ თარგმანს. სემანტიკური თარგმანი გარკვეულწილად ეხმიანება ნაიდას ფორმალურ ეკვივალენტობას, კომუნიკაციური თარგმანი კი – დინამიკურ ეკვივალენტობას. ნაიდასგან განსხვავებით, ნიუმარკი ყურადღებას არ ამახვილებს ეკვივალენტურ ეფექტზე, რადგან მას „ილუზორულად“ განიხილავს და არც კომუნიკაციურ თარგმანს ანიჭებს უპირატესობას. მისთვის მთავარია ორიგინალი ტექსტის სემანტიკური და სინტაქსური სტრუქტურების შეძლებისდაგვარად მიმსგავსებულად გადატანა მათი კონტექსტუალური მნიშვნელობის გათვალისწინებით, რასაც, მისი აზრით, სემანტიკური თარგმანი უზრუნველყოფს (Newmark 1981:39). ნიუმარკი ასევე არ იზიარებს მკითხველისთვის ტექსტის „მზა“ სახით მიწოდების იდეას, რომელიც ნაიდას დინამიკურ ეკვივალენტობასთან ასოცირდება (Munday 2008:44). იგი კომუნიკაციური თარგმანის გამოყენებას მთარგმნელებს მხოლოდ იმ შემთხვევაში ურჩევს, როდესაც სემანტიკური თარგმანით გადმოცემული შინაარსი არალოგიკურია და სათანადო ეფექტს ვერ შექმნის. ნიუმარკის ნაშრომები ზედმეტი პრესკრიპტივიზმისა და ტერმინოლოგიური საკითხის გამო გააკრიტიკეს (იხ. Munday 2008:45-46).

ვიწრო ლინგვისტური ჩარჩოების გაფართოებას შეუწყო ხელი ასევე ლაიფციგის უნივერსიტეტის მკვლევრის ოტო კადეს ნაშრომებმა, რომლებიც 1960-იან წლების ბოლოს გამოქვეყნდა. კომუნიკაციის თეორიის ინტეგრირებით თარგმანის კვლევებში მან სცადა აეხსნა არამხატვრული ტექსტების თარგმნის აქტი. მის მიერ წარმოდგენილი კომუნიკაციური მოდელი გულისხმობს კომუნიკაციის პარტნიორებს, ასევე ენას, როგორც კომუნიკაციის საშუალებას და ობიექტურ რეალობას, როგორც კომუნიკაციის ობიექტს და სიტუაციის კონტექსტს ამ სიტყვის ფართო გაგებით (Kade 1968:32).

როგორც აღვნიშნეთ, ეკვივალენტობა, რომელიც თარგმანის ლინგვისტური თეორიის წამყვან ცნებად იქცა, არაერთგვაროვანი ინტერპრეტაციის საშუალებასაც იძლეოდა. ამ ცნების უფრო ცხადად წარმოდგენას შეეცადა ვერნერ კოლერი, როცა ტერმინ „ეკვივალენტობის“ (Äquivalenz) საპირწონედ „შესაბამისობა“ (Korrespondenz) წარმოადგინა. ორ ტერმინს შორის განსხვავებას იგი სოსიურის ენისა და მეტყველების დიქტომიას უკავშირებს, კერძოდ Korrespondenz-ს ენობრივი სისტემებისა და, შესაბამისად, კონტრასტული ლინგვისტიკის პლანში განიხილავს, Äquivalenz-ს კი – მეტყველებასთან (parole) და, შესაბამისად, კონტექსტთან მიმართებაში (Munday 2008:46-47).

კოლერი არ იზიარებს სოსიურის მოსაზრებას, რომ parole-ის სისტემური სამეცნიერო კვლევა შეუძლებელია. ამასთან, მთარგმნელის კომპეტენციას იგი ეკვივალენტური მიმართებების დამყარების შესაძლებლობით აფასებს (Pym 2014:10).

სხვადასხვა კვლევითი პერსპექტივიდან შემუშავებული კონცეფციების გათვალისწინებით, კოლერი ხუთი სახის ეკვივალენტობას გამოყოფს (Munday 2008:47). ესენია: დენოტაციური, კონოტაციური, ტექსტობრივ-ნორმატიული, პრაგმატიკული და ფორმალური¹⁶ (ექსპრესიული) ეკვივალენტობა. ამასთანავე, მისი აზრით, თარგმანზე ორიენტირებული ტექსტის ანალიზის საფუძველზე მთარგმნელი თავად წყვეტს, რა სახის ეკვივალენტობას მიანიჭოს უპირატესობა და რა არის პრიორიტეტული მოცემულობისა და კომუნიკაციური სიტუაციის გათვალისწინებით, რაც მის მიერ გამოყოფილი ტიპების ერთგვარ იერარქიულობას გულისხმობს.

ეკვივალენტობის კონცეფცია და თანამედროვე პერსპექტივა

თარგმანის კვლევების ინტერდისციპლინარიზმის ზრდის პარალელურად მძაფრდებოდა სკეპტიციზმი ეკვივალენტობის ცნებისადმი. სნელ-ჰორნბი ეკვივალენტობას ბუნდოვან ცნებად განიხილავს, რადგან იგი ენებს შორის გარკვეული ხარისხის სიმეტრიას გულისხმობს. გენცლერის აზრით, ეკვივალენტობა ზღუდავს თარგმნის შესაძლებლობებს. ანდრე ლეფვერი აღნიშნავს, რომ მიუხედავად განსხვავებებისა, ეკვივალენტობაზე ორიენტირებული მიდგომები ვერ სცდება სიტყვის დონეს, რადგან ეკვივალენტობის დადგენა სიტყვებს შორის უფრო ადვილია, ვიდრე წინადადებებს, აბზაცებსა ან ტექსტებს შორის (Lefevre 1992:7).¹⁷ თეო ჰერმანსმა კი ეკვივალენტობას „პრობლემური ცნება“ ('troubled notion') უწოდა (1995:217).

განსხვავებულად აფასებს ეკვივალენტობას გიდეონ ტური, რომელიც მას წინასწარ მოცემულობად განიხილავს. მისი აზრით, განსასაზღვრია მხოლოდ ეკვივალენტობის ტიპი და ხარისხი – ამდენად, ეკვივალენტობა მისთვის ფარდობითი ცნებაა (Kenny 2001:80). ჯულიან ჰაუსი „ფუნქციურ, პრაგმატიკულ“ ეკვივალენტობას თარგმანის

16 კოლერის ფორმალური ეკვივალენტობა პრინციპულად განსხვავდება ნაიდას ფორმალური ეკვივალენტობის ცნებისგან, რის გამოც მას სხვაგვარად „ექსპრესიულ ეკვივალენტობასაც“ უწოდებენ. იხ. Munday 2008:47.

17 ზოგადად, ეკვივალენტობის ცნება უშუალოდ უკავშირდება თარგმნის ერთეულის ცნებას. ვინე და დარბელნე თარგმნის ერთეულად სიტყვათშეთანხმებას (ლექსიკოლოგიურ /აზრობრივ ერთეულს) განიხილავდნენ, ნიუმარკი – წინადადებას, ჰელიდეი – კლაუზუს, ბასნეტი – ტექსტს, სნელ-ჰორნბი კი – კულტურას (Manfredi 2008:52-55).

ხარისხის შეფასების ერთ-ერთ კრიტერიუმად თვლის. ფარდობითია ეკვივალენტობის ცნება ასევე ვლადიმირ ივირისთვის, რომელიც მას მთლიანად სიტუაციის ცნებას უკავშირებს (Manfredi 2008:47-51). პიმი, ნოიბერტი და კოლერი ეკვივალენტობის ცნების არსებობას თარგმანის არათარგმანისგან გარჩევის აუცილებლობით ხსნიან (Kenny 2001:80).

ეკვივალენტობას პირობით, სხვადასხვა ლინგვისტური და კულტურული ფაქტორით განპირობებულ ცნებად განიხილავს თარგმანის კიდევ ერთი თანამედროვე მკვლევარი მონა ბეიკერი წიგნში „სხვა სიტყვებით. თარგმანის სახელმძღვანელო“ (In Other Words. A Coursebook on Translation, 2008). მისთვის ეკვივალენტობა თეორიულ ცნებას არ წარმოადგენს და მხოლოდ იმიტომ იყენებს, რომ იგი მთარგმნელთათვის უკეთ გასაგებია (Baker 1992:5-6). ბეიკერი სხვადასხვა დონის ეკვივალენტობას გამოყოფს: ლექსიკურს (სიტყვისა და სიტყვათშეთანხმების დონეზე), გრამატიკულს, ტექსტობრივსა და პრაგმატიკულს.

თარგმანის თანამედროვე მკვლევრებისგან განსხვავებით, რომლებიც ეკვივალენტობის პარადიგმას მისი შეზღუდულობის გამო აკრიტიკებენ, პიმი ამტკიცებს, რომ ეს კონცეფცია გაცილებით უფრო მრავლისმომცველია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს და რომ მას ბევრი აქვს საერთო თარგმანის უახლეს პარადიგმებთან. იგი ერთმანეთისგან განასხვავებს „ბუნებრივი“ (natural) და „ცალმხრივი“ (directional) ეკვივალენტობის ტიპებს, ხოლო ეკვივალენტობის საწინააღმდეგო თანამედროვე არგუმენტების საფუძვლად ხშირ შემთხვევაში ამ ორი ტიპის ერთმანეთში აღრევას განიხილავს (Pym 2014:7).

თარგმანის თანამედროვე კვლევების მიმოხილვისას, კენი ასკვნის, რომ ეკვივალენტობას ზოგი პრობლემად განიხილავს, ზოგი აუცილებელ პირობად, ზოგი კი მას უბრალოდ თარგმანის დასახასიათებლად იყენებს (Kenny 2001:77). მისი აზრით, ეკვივალენტობის ცნების დაკონკრეტებამ და ყურადღების გადატანამ ენობრივი სისტემიდან მეტყველებაზე – ანუ, ენათშორისი ეკვივალენტობიდან წყარო და სამიზნე ტექსტებისა და გამონათქვამების ეკვივალენტობაზე, თანატექსტისა (co-text) და კონტექსტის მნიშვნელობა წამოსწია წინ და თარგმანი არა მხოლოდ „მართვადი“, არამედ უფრო რეალისტური გახადა (Kenny 2001:78-79).

* * *

ამგვარად, თარგმანის პოსტსტრუქტურალისტური ლინგვისტური კვლევები თარგმანში წყარო და სამიზნე ენებს შორის სხვადასხვა სახის ეკვივალენტური მიმართებების დამყარებაზე ამახვილებდა ყურადღებას. აღსანიშნავია, რომ სწორედ ლინგვისტიკის ფარგლებში მოხერხდა თარგმანის სისტემური თეორიების ჩამოყალიბება. ლინგვისტიკის წიაღში მომხდარმა პარადიგმულმა ცვლილებებმა, რომლებიც ენას სპეციფიკურ კულტურულ კონტექსტში მიმდინარე სოციალურ ფენომენად განიხილავდა და ტექსტის ლინგვისტიკის, ტექსტის დისკურსისა და სოციოლინგვისტიკის დაფუძნება განაპირობა, ხელი შეუწყო თარგმანის უფრო კომპლექსური თეორიების გაჩენას, რომელთაც მომდევნო ნაწილში განვიხილავთ.

დამოწმებანი

- ბეზარაშვილი**, ქეთევან. 2004. *რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა*. თბილისი: მეცნიერება
- ბეზარაშვილი**, ქეთევან. 2012. *ბიზანტიური და ძველი ქართული რიტორიკის თეორიისა და ლექსთწყობის საკითხები ანტიოქიური კოლოფონების მიხედვით*. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
- ბოედერი**, ვინფრიდ. 1998. ენა და ვინაობა ქართველთა ისტორიაში. *ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები*, VII: 60-81
- გაჩეჩილაძე**, გივი. 1959. *მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხები*. თბილისი: საბჭოთა საქართველო
- დანელია**, კორნელი. 1983. *ქართული სამწერლო ენის ისტორიის საკითხები*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
- დობორჯგინიძე**, ნინო. 2012. *ლინგვისტურ-ჰერმენევტიკული მეტატექსტები. პრაქტიკული გრამატიკა და ჰერმენევტიკა X-XIII საუკუნეების ქართულ წყაროებში*. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
- თვალთვაძე**, დარეჯან. 2009. *ეფრემ მცირის კოლოფონები*. თბილისი: ნეკერი
- კეკელიძე**, კორნელი. 1956. მთარგმნელობითი მეთოდი ძველ ქართულ ლიტერატურაში და მისი ხასიათი. წიგნში *ეთიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*, I, 183-197. თბილისი: ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

- მელიქიშვილი**, დამანა. 1999. *ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის ისტორიიდან*. თბილისი: ლოგოსი
- ოთხმეზური**, თამარ. 2011. *კომენტარული ჟანრი შუა საუკუნეების ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში*. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
- რაფავა**, მაია. 1976. *იოანე დამასკელი: დიალექტიკა*. ქართული თარგმანების ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მაია რაფავამ, თბილისი: მეცნიერება
- საყვარელიძე**, ნელი. 2001. *თარგმანის თეორიის საკითხები (ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ასპექტები)*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
- ფანჯიკიძე**, დალი. 1995. *თარგმანის ახალი თეორიები და სტილის ეკვივალენტობის პრობლემა*. თბილისი: განათლება
- შანიძე**, მზექალა. 1990. *სიტყუად ართრონთათვს – ძველი ქართული გრამატიკული ტრაქტატი*. თბილისი: სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
- ჩხეიძე**, პაატა. 2005. *ივანე მაჩაბლის ტრადიცია*. თბილისი: მერანი
- ხარანაული**, ანა. 2001. *ეზრა I-ის ქართული თარგმანის ხანმეტი ტექსტი (ავთენტურობის, წარმომავლობისა და თარგმანის ტექნიკის საკითხები)*, *Μετάνοια, მიძღვნილი გრიგოლ წერეთლის 130 წლისთავისადმი*, 296-331
- ხარანაული**, ანა. 2007. *ბიბლიის ძველი ქართული თარგმანის ტექნიკა*. თ. დოლიძე, ნ. მახარაძე (რედ.). *ბიზანტინოლოგია საქართველოში*, 938-968
- Baker**, Mona. 1992. *In Other Words. A Coursebook on Translation*. London and New York: Routledge
- Bassnett**, Susan. 2014. *Translation: (The New Critical Idiom)*. London and New York: Routledge
- Benjamin**, Walter. 2004. *The Task of the Translator*. Trans. Harry Zohn. In Venuti 2004:75-85
- Boeder**, Winfried. 1983. *Die georgischen Mönche auf dem Berge Athos und die Geschichte der georgischen Schriftsprache. Bedi Kartlisa*. *Revue de Kartvélogie* 41, 85-95
- Catford**, J. C. 1965. *A linguistic Theory of Translation: An Essay in Applied Linguistics*. London: Oxford Univeristy Press
- Doborjginidze**, Nino. 2008. *Einige Fragestellungen zur Herausbildung von Schriftsprachen im christlichen Osten am Beispiel des Georgischen*. „*Le Muséon*“, *Revue d'études orientales* (121, 3-4), 193-212
- Fawcett**, Peter. 1997 *Translation and Language*, Manchester: St. Jerome.

Quoted in Manfredi 2008

- Genzler**, Edwin. 2001. *Contemporary Translation Theories* (Topics in Translation). Revised 2nd edition. Clevedon: Multilingual Matters Ltd
- Gorlée**, Dinda L. 1994. *Semiotics and the Problem of Translation*. Amsterdam-Atlanta: Rodopi
- Hatim**, Basil. 2013. *Teaching and Researching Translation*. 2nd ed. Oxon, UK; New York, USA: Routledge
- Hermans**, Theo. 1995. Revisiting the Classics: Toury's Empiricism Version One. *The Translator*. Volume 1, No. 2: 215-223
- Jakobson**, Roman. 2004. On Linguistic Aspects of Translation. In Venuti 2004:138-143
- Kenny**, Dorothy. 2001. Equivalence. In *Routledge Encyclopedia of Translation Studies*, ed. Mona Baker, 77-80. London and New York: Routledge
- Lefevere**, André. 1992. *Translating Literature: Practice and Theory in a Comparative Literature Context*. New York: The Modern Language Association of America
- Manfredi**, Marina. 2008. *Translating Text and Context: Translational Studies and Systemic Functional Linguistics*, vol. 1. Cagliari: CUEC
- Munday**, Jeremy. 2008. *Introducing Translational Studies: Theories and Applications*. 2nd ed. London and New York: Routledge
- Newmark**, Peter. 1988. *A Textbook of Translation*. New York/London/Toronto/Sydney: Prentice Hall
- Newmark**, Peter. 1991. *About Translation*. Clevedon: Multilingual Matters
- Nida**, Eugene. 1964. *Toward a Science of Translating. With Special Reference to Principles and Procedures Involved in Bible Translating*. E.J. Brill: Leiden
- Nida**, Eugene A. 1969. Science of Translation. *Language* 45, no. 3: 483-498. doi:10.2307/411434
- Nida**, Eugene. 2004. Principles of Correspondence. In Venuti 2004:153-167
- Pym**, Anthony. 2014. *Exploring Translational Theories*. 2nd edition. London and New York: Routledge
- Riccardi**, Alessandra. 2002. Introduction. In *Translation Studies: Perspectives on an Emerging Discipline*, ed. Alessandra Riccardi, 1-9. Cambridge: Cambridge University Press
- Sapir**, Edward. 1929. The Status of Linguistics as a Science. *Language*, Vol. 5, No. 4 (Dec.): 207-214
- Snell-Hornby**, Mary. 2006. *The Turns of Translational Studies: New Paradigms*

- of Shifting Viewpoints?* Amsterdam/Philadelphia: John Benjamins Publishing Company
- Steiner**, George. 1998. *After Babel: Aspects of Language and Translaiton*. 3rd edition. Oxford and New York: Oxford University Press
- Ulrych**, Margheritta and Rosa Maria Bollettieri Bosinelli. 1999. The State of the Art in Translation Studies: An Overview. *Textus* XII (2), 219-241.
- Vinay**, Jean-Paul and Jean Darbelnet. 2004. A Methodology for Translation. Transl. Juan C. Sager and M.-J. Hamel. In Venuti 2004:128-137
- Venuti**, Lawrence (ed). 2004. *The Translation Studies Reader*. 2nd edition. New York and London: Routledge

REVIEW ARTICLES

Nino Doborjginidze, Irina Lobzhanidze

Corpus of *The Georgian Chronicles (Kartlis Tskhovreba)*

The paper reports on the outcomes of the research project *The Corpus of the Georgian Chronicles (Kartlis Tskovreba)*, jointly implemented by the Iliia State University and the National Centre of Manuscripts. The project aims at building a new extensive corpus of the Georgian language; thus, *Kartlis Tskovreba* is viewed as a representative source of valuable research input. The scope and representativeness of the texts, as well as free access, will enable researchers to examine all available versions of the texts.

The parallel corpus is divided into the following sections:

1. Text Block, consisting of publications and manuscripts in a digital format. It also includes the Armenian translation of *Kartlis Tskovreba*, aligned with the Georgian texts. The search engine allows for different filters;
2. Visual Block, consisting of manuscript illuminations including samples of calligraphy and binding.

The paper dwells on issues related to the development, design and structure of the corpus. It consists of the introduction, methodological and theoretical prerequisites, hypotheses and research findings, and conclusions.

Nino Mataradze, Elene Tatishvili

Western Paradigms of Translation Studies: Literary and Linguistic Perspectives

The paper traces the evolution of translation theories that led to the establishment of Translation Studies as an interdisciplinary field of research in the second half of the twentieth century. It deals with the literary and linguistic approaches to the study of translation underlying the importance of linguistic paradigms for the advancement of translation related research. The paper

seeks to demonstrate that the major theories of the twentieth century as well as contemporary culture-focused visions of translation emerged from linguistic theories.

Starting with the structuralist view of translation and the related debate on translatability vs non-translatability, the paper moves to the concept of equivalence ending with contemporary critical assessment of the theories, including from the cultural and deconstructivist perspectives.

The overview also seeks to encourage further study of Georgian translation tradition in the light of the western translation theories.